საქართველოს თავდაცვის მინისტრის
ბრძანება N MOD 4 16 00000922
2016 წლის 04 ოქტომბერი ქ.თბილისი

ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიების შესახებ

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 15 იანვრის N1 ბრძანების 51-ე მუხლის ,,ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ბრძანება N MOD 3 18 00000037 22.01.2018 ძალაშია ხელმოწერის დღიდან და გავრცელდეს 2018 წლის პირველი იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შტატით გათვალისწინებულ მოსამსახურეს (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსამსახურისა) შვილის შეძენის/შვილის აყვანის შემთხვევაში მიეცეს ერთჯერადი დახმარება 1250 (ათასორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

ბრძანება N MOD 3 18 00000037 22.01.2018 ძალაშია ხელმოწერის დღიდან და გავრცელდეს 2018 წლის პირველი იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე;

ბრძანება N MOD 6 18 00000544 29.06.2018 ძალაშია ხელმოწერის დღიდან და გავრცელდეს 2017 წლის 1 დეკემბრიდან;

2. ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული თანხის გაცემის უზრუნველყოფა დაევალოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტს, შესაბამისი ქვედანაყოფიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ბავშვის დაბადების მოწმობა) საფუძველზე.

2^1. ბრძანება გავრცელდეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირების სამხედრო მოსამსახურეებზე და მათზე პირველი პუნქტით გათვალისწინებული ერთჯერადი დახმარება გაიცეს შესაბამისი საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის დამტკიცებული ბიუჯეტიდან.

ბრძანება N MOD 5 16 00000941 18.10.2016 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

3. ბრძანება არ ვრცელდება ,,ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიების შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2013 წლის პირველი მაისის N393 ბრძანებით წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრი ლევან იზორია